

წალენჯიხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში თანამდებობის პირთა ნაწილს დეკლარაცია არასრულად აქვს შევსებული.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ თანამდებობის პირთა 20-ზე მეტი ქონებრივი დეკლარაცია შეისწავლა. შედეგად, დეკლარაციების არასრულად შევსების 6 ფაქტი გამოვლინდა, რაც წარმოადგენს კანონდალვევას - საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის¹ თანახმად თანამდებობის პირი ვალდებულია დეკლარაციაში სრულად ასახოს ინფორმაცია საკუთარი და ოჯახის წევრების როგორც ქონების, ასევე სამენარმეო საქმიანობის შესახებ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

ბესიკ ფარცვანიძე
წალენჯიხის მერი




ბესიკ ფარცვანიძის 2018 წლის დეკემბერში შევსებულ დეკლარაციაში არ აქვს აღნიშნული, რომ მისი ძმა ბეჟან ფარცვანიძე ფლობს წილებს და არის დირექტორი შემდეგ კომპანიებში:

- შპს “ბუს სექტორითი ჯგუფი” - 100% წილის მფლობელი და დირექტორი
- შპს “რო-ბე” - 100% წილის მფლობელი და დირექტორი
- შპს “ბე & რო” - 100% წილის მფლობელი და დირექტორი

აღსანიშნავია, რომ შპს “ბე & როს” სამჯერ აქვს გამარტივებულ შესყიდვებში მონაწილეობა მიღებული - 2018 წელს 454 ლარის ორი ხელშეკრულება აქვს ზუგდიდის მერიასთან გაფორმებული, 2019 წლის იანვარში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურთან 2 000 ლარიანი ხელშეკრულება.

ბესიკ ფარცვანიძის ასევე არ აქვს დეკლარირებული, რომ მისი ძმა ბეჟან ფარცვანიძე ფლობს ბინას ქალაქ თბილისში.

თემურ ღვინჯილია
წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარე



თემურ ღვინჯილიას 2018 წლის სექტემბერში შევსებულ დეკლარაციაში არ აქვს აღნიშნული, რომ იგი არის შპს “შე-ლი”-ს 30% წილისა და შპს “წალენჯიხის საგზაოს” ს/კ - 20% წილის მფლობელი. ეს ინფორმაცია თემურ ღვინჯილიას არც წინა წლის დეკლარაციაში ჰქონდა მითითებული, რის შესახებაც ინფორმაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ 2018 წლის იანვარში გამთავსებულა. თემურ ღვინჯილია ერთ-ერთია იმ თანამდებობის პირთა შორის, რომლებიც საჯარო სამსახურის ბიურომ დეკლარაციის არასრულად შევსების გამო დააჯარიმა.

დალი კვარაცხელია
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია



დალი კვარაცხელიას 2018 წლის სექტემბერში შევსებულ დეკლარაციაში არ აქვს აღნიშნული, რომ მისი შვილი ლექსო ქვარცხავა არის შპს “ლეგი +”-ის 50% წილის მფლობელი.

მურთაზ სამუშია
ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი



მურთაზ სამუშიას 2018 წლის მარტში შევსებულ დეკლარაციაში არ აქვს აღნიშნული, რომ იგი ფლობს შპს “აიეტის” 40%-იან წილს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

ნუგზარ მაღაშხია
ა(ა)იპ ზუგდიდის დასუფთავების ცენტრის ხელმძღვანელი



ნუგზარ მაღაშხიას 2018 წლის მარტში შევსებულ დეკლარაციაში არ აქვს აღნიშნული, რომ იგი ფლობს წილებს კომპანიებში:

- შპს “ნუმარემა” - 50% წილი
- შპს “ბერმუხა - 09” - 25% წილი
- შპს “ზუგდიდის ბავშვთა პოლიკლინიკა” - 1% წილი

ბესიკ თოდუა
შპს “ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”-ის დირექტორი



ბესიკ თოდუას 2018 წლის მაისში შევსებულ დეკლარაციაში არ აქვს აღნიშნული, რომ იგი არის შპს “გდგ კომპანის” დირექტორი.

თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციების შემოწმების საკითხი კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, შესაბამისად, “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” მიმართავს საჯარო სამსახურის ბიუროს წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შეისწავლოს კვლევაში აღნიშნული პირების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

1 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550>